განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ისტორია

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

08.11.2018

თბილისი
2018

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ბაკალავრი ისტორიაში 1004
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ერეკლე ასტახიშვილი, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მალხაზ თორია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ანა გვრიტიშვილი, თსუ, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი წარმოადგენს არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს და მდებარეობს თბილისში, ილია ჭავჭავაძის 53 ა, 0179, საქართველო.
რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილი ბაკალავრიატის საფეხურის ისტორიის პროგრამის სწავლების ენა ქართულია.
პროგრამის დანერგვის საფუძველია ისტორიის სწავლის, სწავლების ხარისხის და კვლევის თანამედროვე დონის დეფიციტი. მომავალში მისი განვითარების სურვილი და საჭიროება. პროგრამის მიზანია ისტორიაში ბაკალავრის საფეხურის კვალიფიციური კადრების მომზადება.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

  აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა 2018 წლის 7 სექტემბერს. ვიზიტამდე, 5 სექტემბერს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შეიკრიბა ექსპერტთა ჯგუფი 14 საათზე და 16.30 საათამდე მიმდინარეობდა თვითშეფასების ანგარიშის განხილვა. ცენტრის მიერ მოწოდებული კითხვარის ფორმის მიხედვით განისაზღვრა ის აუცილებელი კითხვები, რომელიც დაისვა 7 სექტემბერს ინტერვიურების პროცესში პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

  7 სექტემბერს აღნიშნულ დაწესებულებაში ვიზიტის ფარგლებში 9 საათიდან დაიწყო სამუშაო შეხვედრა პროგრამაში ჩართულ დაინტერესებულ პირებთან. სამუშაო განრიგის მიხედვით შეხვედრა/გასაუბრება შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, სტუდენტებთან, სკოლის/ფაკულტეტის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (ბიბლიოთეკა, საუდიტორიო ოთახები, კაბინეტები და ა.შ) დათვალიერება. სამუშაო შეხვედრა მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში, კონსტრუქციული დიალოგით და მსჯელობით კონკრეტულ საკითხებთან მიმართებში. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ობიექტურად შეეფასებინა პროგრამა თითოეული სტანდარტის მიხედვით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამის პირველი, მეოთხე და მეხუთე სტანდარტი შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

მეორე და მესამე სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ახალ პროგრამაში, სტუდენტებს საშუალება აქვთ თანაბრად, გაზაფხული/შემოდგომის პრინციპით (დაშვების წინაპირობის დაკმაყოფილების შემთხვევაში) გადაანაწილონ თავიანთი არჩეული ნებისმიერი სასწავლო კურსი.

სავალდებულო ზოგადსაუნივერსიტეტო კურსი „აკადემიური წერა და საოფისე ტექნოლოგიები უკვე ისწავლება პირველივე სემესტრში.

უცხო ენებში ადრე გათვალისწინებული 20 კრედიტის ნაცვლად, წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს უცხო ენების B-2 დონეზე ათვისებას. სტუდენტების მიერ ენების ცოდნის დაბალი დონით აიხსნებოდა წინა პროგრამაში უცხოური სამეცნიერო წყაროებისა და ლიტერატურის გაუთვალისწინებლობა. ახალი პროგრამის თვითშეფასებაში აღნიშნულია რომ მოგვიანებით განხორციელდება სასწავლო კურსებში უცხოური წყაროების გათვალისწინება. ჩვენ ვეთანხმებით თვითშეფასების ჯგუფს იმაში, რომ თავდაპირველ ეტაპზე ძნელია უცხოური წყაროების აღქმა და გამოყენება, მაგრამ ავღნიშნავთ, რომ ახალ პროგრამაში არსებული სილაბუსების უმრავლესობა საერთოდ არ ასახავს უცხოენოვან ლიტერატურას, რაც პროგრამის ნაკლია.

ამავე დროს, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ უკლებრივ ყველა სტუდენტმა იცოდეს ინგლისური ენა B-2 დონეზე.

თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით ახლებურად განისაზღვრა პროგრამის მიზნები. გათვალისწინებული იქნა როგორც კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა რეკომენდაციები, ისე შრომის ბაზრის მოთხოვნები. ამავე დროს ინტერვიურების შედეგებიდან გამომდინარე, ავღნიშნავთ, რომ ზოგადად უნივერსიტეტმა თავის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად სტუდენტთა-კურსდამთავრებულთა სტაჟირება/დასაქმება უნდა აქციოს და განავითაროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

ახალ პროგრამაში, სწავლის შედეგების ფორმულირებისას, გამოიყენება ბლუმის ტაქსონომია. შესაბამისად, გამოიკვეთა ის კომპეტენციები და უნარ-ჩვევები, რაც უნდა ჰქონდეს კურსდამთავრებულ ბაკალავრს. ცვლილებები აისახა სასწავლო კურსების სილაბუსებში. შეიცვალა განმახორციელებელი პერსონალის ნაწილი, პროგრამაში ჩაერთენ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების „საქართველოს ისტორია“, „არქეოლოგია“, „ეთნოლოგია“ კურსდამთავრებულები. კურსების უმრავლესობაში სავალდებულო კომპონენტად დაემატა პრეზენტაცია, რაც ხელს შეუწყობს სტუდენტის შესაბამისი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება-განვითარებას.

რეკომენდაციები

- სასწავლო პრაქტიკული კომპონენტის შემუშავება და დანერგვა (პრაქტიკა, საზაფხულო სკოლა, ექსპედიცია და ა.შ.);
- ამოღებული იქნას რუსული ენა სწავლის პროცესში საუნივერსიტეტო სავალდებულო ენების ბლოკიდან და გადატანილი იქნას არჩევით საგნებში
- მოხდეს თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო უცხოენოვანი ლიტერატურის ასახვა სილაბუსებში

- განახლდეს სილაბუსებში ლიტერატურა და გამოირიცხოს ონლაინ ენციკლოპედიების (მაგ. ვიკიპედია) მასალების მითითება ლიტერატურის ჩამონათვალში.
- განახლდეს ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კურსი
- გაცვლითი პროგრამების ამოქმედება და საერთაშორისო კუთხით პროგრამის გააქტიურება; სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში თუ პროექტებში.
- გარე დამსაქმებელთა ბაზის შექმნა. (პროგრამაში მოწვეული ლექტორების სახით არსებული დამსაქმებლების გარდა, სხვა დამსაქმებლების მოძიება და აქტიური თანამშრომლობა).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში გამოიკვეთოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რაც გულისხმობს: უცხოეთის აკადემიურ დაწესებულებებთან კავშირების გაძლიერებას; აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობას.
- ასევე გამოიკვეთოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების პრიორიტეტი. სწავლების პროცესში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება კურსდამთავრებულების ცოდნის, უნარების და კომპეტენციების შრომის ბაზარზე რეალიზების შანსებს უფრო გაზრდის.

    - ვურჩევდით პროგრამის მესვეურებს, რათა საგნების საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობის და ახალი და უახლესი პერიოდის ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის წინაპირობად დაფიქსირდეს შესაბამისი ეპოქების საქართველოს ისტორიის კურსი.
    - სასურველია პროგრამას დაემატოს ისტორიის შესავალი კურსი, სადაც განხილული იქნება ისტორიული აზროვნების და საისტორიო მეცნიერების ძირითადი ეტაპები, სკოლები და მიმდინარეობები.
    - პროგრამას დაემატოს ზოგადი კურსი შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაზე.
    - გადასამუშავებელია სილაბუსი ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში
    - გადასამუშავებელია და სათაურია დასაკონკრეტებელი კურსისა ქართული ხელოვნების ისტორია.

- პირველ სემესტრში სტუდენტები შეისწავლიან საქართველოს არქეოლოგიას და საქართველოს ისტორიას მერვე საუკუნემდე, ხოლო მეორეში-ძველი აღმოსავლეთის ისტორიას. უფრო ლოგიკური იქნებოდა ეს უკანასკნელი, პირველ სემესტრში ისწავლებოდეს
- წარმოდგენილ პროგრამაში შემცირდა სავალდებულო საგნის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ კრედიტები (10-დან 6-მდე), თუმცა არ გათვალისწინებულა წინა აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციის ის ნაწილი, რომელიც

ეხებოდა ამ საგნის არჩევით ბლოკში გადატანას. ჩვენ ვეთანხმებით წინა ექსპერტთა ჯგუფს და ვურჩევდით პროგრამის ხელმძღვანელებს გადაეტანათ ზემოაღნიშნული საგანი არჩევით ბლოკში

- სასურველია განახლდეს კურსი ძველი ქართული საისტორიო და საეკლესიო ენა
- კურსში შუა საუკუნეების ქალაქები, სასურველია არა მარტო ქართული, არამედ ზოგადად ქალაქის ფენომენზე აქცენტირება მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში.
- კურსში ემიგრაციის ისტორია სასურველია გათვალისწინებული იყოს აღწერაში დასახელებული ავტორების ნაშრომები
- უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა სასურველია მეტად იზრუნოს სტუდენტების სამეცნიერო პროექტებში ჩართვაზე, რათა მათ უკვე საწყის ეტაპიდანვე შეხება ჰქონდეთ რეალურ კვლევით პროცესთან. ამაში იგულისხმება, მაგალითად, არქივებში მუშაობა, კვლევითი პროექტების ფარგლებში ძირითადი მკვლევრების ასისტირება და ა.შ. რაც ასევ ძალიან მნშივნელოვანია და არაერთხელ აღინიშნა, სტუდენტების ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის.
- ოსმალეთის ისტორიის სილაბუსში შუალედური შეფასების კრიტერიუმებში სასურველია შეფასების სისტემაში იყოს წარმოდგენილი ესეის წერა და არა ტესტი
- კურსში ქართული კულტურის ისტორია შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე შეფასება ხდება 1 თეორიული საკითხით და 20 დახურული ტიპის ტესტით, რაც სასურველია შეიცვალოს.
- საკონსულტაციო საათების დაფიქსირება სილაბუსებსა და პერსონალის ხელშეკრულებებში.
- სტუდენტური თვითმმართველობის გააქტიურება საგანმანათლებლო კუთხით
- სასურველია გაიზარდოს საველე გასვლების, ექსპედიციების და სამეცნიერო მივლინებების ხარჯები, შეიქმნას ფონდი აკადემიური პერსონალის განვითარების ხელშეწყობისათვის და განსაზღვრულ იქნას დამატებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების გზები და საშუალებები
- სასურველია ყველა აუდიტორიის აღჭურვა კონდიცირების სისტემით
- პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის კარგი იქნება, თუ მოხდება პროგრამის შედარება საერთაშორისო ანალოგებთან.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა თავად აირჩიონ გამოცდის თარიღი ელექტრონული სისტემის დახმარებით.

განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

- ხელახალი აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში საგანმანათლებლო პროგრამის მიზანებში ცვლილებები შევიდა. კერძოდ, იქნა გათვალისწინებული განახლებული

აკრედიტაციის სტანდარტების შესრულების კრიტერიუმები. შესაბამისად, უფრო გამოიკვეთა კურსდამთავრებულის კონკრეტული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. ამასთან, გაანალიზდა დამსაქმებლის მოთხოვნები დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, მეტი აქცენტი გაკეთდა უცხო ენაზე, რაც აუცილებელად იქნა მიჩნეული დასაქმებისა და წარმატებული საქმიანობისათვისთვის. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამაზე მუშაობის პროცესში მის რეალისტურობის და მიღწევადობის კრიტერიუმებიც იქნა გათვალისწინებული.

- მაინორი სპეციალობის პროგრამის დანერგვა;
- უცხო ენებში ადრე გათვალისწინებული 20 კრედიტის ნაცვლად, წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს უცხო ენების B-2 დონეზე ათვისებას.

- ხელახალ აკრედიტაციაზე წარმოდგენილმა ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ თავდაპირველი აკრედიტაცია გაიარა 2013 წლის 26 ნოემბერს (#177). მიმდინარე პროგრამაში განხორციელებულია ცვლილებები, რომელიც ეყრდნობა ახალ რეალიებსა და ამავე დროს პირველი აკრედიტაციის დროს გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. უპირველეს ყოვლისა, შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა დამატებითი სპეციალობის და თავისუფალი კომპონენტების შეთავაზების კონტექსტში; შემცირდა ცალკეული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა რის ხარჯზეც გაიზარდასასწავლო კურსების რაოდენობა; წარმოდგენილ პროგრამაში აღარ არის მოდულები და ჩანაცვლებულია გაზრდილი რაოდენობის არჩევითი სასწავლო კურსებით.
- სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დააწესა სარეიტინგო ქულა (81 ქულა) რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტი ისტორიის პროგრამაზე უფასოდ ისწავლის. სხვა შემთხვევაში, მან უნდა გადაიხადოს სწავლის საფასური.
- შეიქმნა საგამოცდო ცენტრი, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი ტექნიკით. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 3 დღის მანძილზე შეცვალოს საგამოცდო თარიღი და დრო. სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ამასთან შუალედური შეფასების ფორმისათვის, ასევე, თითოეული კომპონენტისათვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
- განახლებული პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არჩევითი საგნების ფართო სპექტრს;
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების ჩაერთენ პროგრამის განხორციელებაში;

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ზოგად საუნივერსიტეტო მისიას, რომლის თანახმად: „უნივერსიტეტი ხელმძღვანელობს ჰუმანიზმისა და დემოკრატიის იდეალებით, და ამასთან ერთად მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს „ქართული კულტურის ღირებულებების ჩამოყალიბებას და სამოქალაქო საზოგადოების შექმნას; საქართველოს სახელმწიფოს განვითარებას ქართული საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და ეკონომიკურ განვითარების გზით; პიროვნების პოტენციალის რეალიზებას, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარებას მისი ინტერესებისა და შესაძლებლობების შესაბამისად, უმაღლესი განათლების მიღების, კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების გზით; მოამზადოს უმაღლესი განათლების მქონე, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი, კონკურენტუნარიანი პროფესიონალები; სამეცნიერო კვლევების განვითარებისა და ინოვაციებისათვის სათანადო პირობების შექმნით, უზრუნველყოფით და განვითარებით, ახალი სამეცნიერო პერსონალის მომზადების და გადამზადების გზით, ხელი შეუწყოს სახელმწიფოს კვლევითი ტრადიციების განვითარებას“. საკუთრივ ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს, ისტორიის დარგის სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ ფართო ცოდნა საქართველოს და მსოფლიო ისტორიის ძირითად ეტაპებზე და ისტორიოგრაფიაში, შეძლებენ დოკუმენტური მასალებისა და ლიტერატურის მოძიებას, დამუშავებას, ანალიზს და განსხვავებული ტიპის წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე ისტორიის რეპრეზენტაციას; გააცნობიერებენ ისტორიის მრავალმხრივი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის საფუძველზე პროფესიული საქმიანობის შესაძლებლობებს. გარდა დარგობრივი ცოდნისა, უნარებისა და პროფესიული ღირებულებებისა, პროგრამის მიზნებს შორის დასახელებულია კურსდამთავრებულთათვის ტრანსფერული უნარების ჩამოყალიბება, რაც მათ დასაქმების, წარმატებული საქმიანობის და პროფესიული საზოგადოების განვითარებაში საკუთარი წვლილის შეტანის შესაძლებლობას მისცემს. უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში, აგრეთვე, აკადემიურ, ადმინისტრაციულ და მოწვეულ პერსონალთან ინტერვიუებში ხაზგასმით იყო გამოკვეთილი, რომ ხელახალი აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ცვლილებები შევიდა. კერძოდ, საგანგებოდ იქნა გათვალისწინებული განახლებული აკრედიტაციის სტანდარტების შესრულების კრიტერიუმები. შესაბამისად, უფრო გამოიკვეთა კურსდამთავრებულის კონკრეტული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. ამასთან, გაანალიზდა დამსაქმებლის მოთხოვნების დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, მეტი აქცენტი გაკეთდა უცხო ენაზე, რაც აუცილებელად იქნა მიჩნეული დასაქმებისა და წარმატებული საქმიანობისათვისთვის. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამაზე მუშაობის პროცესში მის რეალისტურობის და მიღწევადობის კრიტერიუმებიც იქნა გათვალისწინებული.

ისტორიის საბაკალავრო პროგრამაზე მომუშავე ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ უშუალოდ პროგრამის განმახორციელებელი და სხვა აუცილებელი პერსონალიც. შესაბამისად, პროგრამის კომპონტენტები გაზიარებულია თითოეული მათგანის მიერ. ისტორიის საბაკალავრო პროგრამა განთავსებულია საუნივერსიტეტო ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა მოსაზრება, რომ პროგრამის მიზნებში არ არის სათანადოდ გამოკვეთილი ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რაც გულისხმობს უცხოეთის აკადემიურ დაწესებულებებთან კავშირების გაძლიერებას; აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობას; ინგლისური ენის (სხვა ევროპულ, მათ შორის რუსულ, ენებთან შედარებით) სწავლებს გაძლიერებას. სწავლების პროცესში თანამედროვე/გლობალური გამოცდილების გათვალისწინებას.
ასევე, პროგრამის მიზნებში ნაკლებად ჩანს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების პრიორიტეტი. სწავლების პროცესში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება კურსდამთავრებულების ცოდნის, უნარების და კომპეტენციების შრომის ბაზარზე რეალიზების შანსებს უფრო გაზრდის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა
- თვითშეფასების ანგარიში
- ქართული უნივერსიტეტის მისია, მიზანი, სტრატეგია
- ინტერვიუ დამსაქმებელთან
- უნივერსიტეტის ვებგვერდი.

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში გამოიკვეთოს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რაც გულისხმობს: უცხოეთის აკადემიურ დაწესებულებებთან კავშირების გაძლიერებას; აკადემიური პერსონალისთვის და სტუდენტებისთვის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობას.
ასევე უნდა გამოიკვეთოს პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების პრიორიტეტი. სწავლების პროცესში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება კურსდამთავრებულების ცოდნის, უნარების და კომპეტენციების შრომის ბაზარზე რეალიზების შანსებს უფრო გაზრდის.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

პროგრესის კონტექსტში, ხელახალი აკრედიტაციისათვის მზადების პროცესში, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ახალი მოთხოვნების შესაბამისად ცვლილებები შევიდა. კერძოდ, გათვალისწინებული იქნა განახლებული აკრედიტაციის სტანდარტების შესრულების კრიტერიუმები. შესაბამისად, უფრო გამოიკვეთა კურსდამთავრებულის კონკრეტული ცოდნა, უნარები და კომპეტენციები. ამასთან, გაანალიზდა დამსაქმებლის მოთხოვნები დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესების მიზნით. ასევე, მეტი აქცენტი გაკეთდა უცხო ენაზე, რაც აუცილებელად იქნა მიჩნეული დასაქმებისა და წარმატებული საქმიანობისათვისთვის. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამაზე მუშაობის პროცესში მის რეალისტურობის და მიღწევადობის კრიტერიუმებიც იქნა გათვალისწინებული.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს. ხელახალი აკრედიტაციისიისთვის მზადების პროცესში დაკონკრეტდა და დაიხვეწა სწავლის შედეგების (ცოდნა და უნარები) ფორმულირება.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ დაინტერესებული მხარეები - აკადემიური და მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები. შედეგად, თითოეული სწავლის შედეგი ფორმალურად გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური გახდა. სწავლის შედეგები გაწერილია მისანიჭებელი კვალიფიკაციის და საფეხურის შესაბამისად. კერძოდ, ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული **ა)** აანალიზებს საქართველოს და მსოფლიო ისტორიის (ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური ქვეყნების, შუა საუკუნეების და დასავლეთ ევროპის ახალი და უახლესი ისტორიის) (უძველესი დროიდან XXI საუკუნის ჩათვლით) განვითარების ეტაპებს; ბ) ლოგიკურად მსჯელობს საქართველოს და მსოფლიო ისტორიის (ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური ქვეყნების, შუა საუკუნეების და დასავლეთ ევროპის ახალი და უახლესი ისტორიის) სფეროში არსებული პრობლემური საკითხების გარშემო; გ) მსჯელობს კავკასიის ხალხთა ისტორიული განვითარების საბაზისო საკითხებზე; დ) აცნობიერებს სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების ისტორიის შესწავლისათვის არქეოლოგიური, ეთნოგრაფიული, პალეოგრაფიული და ეპიგრაფიკული მასალების მნიშვნელობას;

ე) მოიძიებს წყაროებს, ასევე, ბიბლიოგრაფიულ, დოკუმენტურ, საარქივო მასალებს ისტორიის სფეროში კვლევითი საქმიანობისათვის; ვ) მონაწილეობს დისკუსიებში საქართველოს და მსოფლიო ისტორიის, კავკასიის ხალხთა ისტორიის, ქართული ლიტერატურის ისტორიის საკვანძო საკითხებზე და პატივს სცემს განსხვავებულ თვალსაზრისს; ზ) იყენებს ქართული სამწერლობო სისტემის ასომთავრულ და ნუსხურ სახეობებს; თ) ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებისა და აკადემიური წერის უნარებს; ი) იყენებს ერთ-ერთ უცხო ენას ზეპირი და წერითი კომუნიკაციისათვის;

კ) პატივს სცემს: სამართლებრივ ღირებულებებს და აფასებს მათ გავლენას საზოგადოების განვითარებაზე; ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს.

კურსდამთავრებულებს შეუძლია სწავლების გაგრძელება შემდეგ- სამაგისტრო საფეხურზე; დასაქმება არქივში, მუზეუმი და სხა, სფეროსთან დაკავშირებულ დაწესებულებებში.

აკრედიტაციის ექპერტების მოსაზრებით, პროგრამით გამიზნული შედეგების მისაღწევად აუცილებელია სწავლის პროცესში პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება.(იხ. რეკომენდაცია 2.4) მაგალითად, უნივერსიტეტის ერთ-ერთი თანამშრომელი ხელმძღვანელობს არქეოლოგიურ ესპედიციას ქვეყნის კონკრეტულ რეგიონში. შეიძლებოდა სასწავლო კომპონენტის შემუშავება (პრაქტიკა, საზაფხულო სკოლა, დაგეგმილი ექსპედიცია და ა.შ.), რომლის შესრულებაც სტუდენტს შესძენდა პრაქტიკულ უნარებს.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს უცხო ენის საკითხი პროგრამით განსაზღვრული შედეგების მიღწევის კონტექსტში. ეს ეხება როგორც სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელების შესაძლებლობას, ასევე კურსდამთავრებულების დასაქმების პრობლემას. პროგრამის განმახორციელებლებიც თვლიან, რომ უცხო ენის კომპეტენციის მეტად განვითარება (B2 დონეზე ფლობა) პრიორიტეტულია.

უნივერსიტეტში, უცხო ენები სავალდებულოა. ესენია ინგლისური, გერმანული, ფრანგული და რუსული ენები. აკრედიტაციის ექსპერტები დაინტერესდნენ, რატომ გადის რუსული სავალდებულო ენების რიგში, რადგან ის უფრო დარგობრივ (მაგალითად, მე-19 საუკუნის კავკასიის ისტორიის შესწავლისთვის) და არა გლობალურ უცხო ენად შეიძლება განვიხილოთ. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობისთვის სწორედ ინგლისური ენის სწავლების გაძლიერება იქნებოდა ადეკვატური. უნივერსიტეტის

წარმომადგენლების აზრით, საბაკალავრო დონეზე რუსული ენის სავალდებულო საგნებიდან ამოღება მკაცრი გადაწყვეტილება იქნებოდა, რადგან სტუდენტთა ნაწილი მისაღებ გამოცდებზე სწორედ რუსულს აბარებს და სწავლის პროცესშიც მას ირჩევს უცხო ენად.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, სწავლის შედეგების დაგეგმვისას გათვალისწინებული იყო პროფესიით დასაქმების სფეროების და შრომის ბაზრის მოთხოვნები.

აგრეთვე, თვითშეფასების ჯგუფთან საუბარში გაირკვა, რომ დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროგრამის შექმნის პროცესში და ამისთვის ფიქსირებული პერიოდი არ არის განსაზღვრული. ასევე აღინიშნა, რომ ბოლო პერიოდში გამოიყო დასაქმების ცენტრი უნივერსიტეტის ფარგლებში. როგორც წესი, ძირითადი დამსაქმებელია ეროვნული მუზეუმი. კურსდამთავრებულებთა ნაწილი საქმდება უნივერსიტეტშივე, მაგალითად დეკანატში. თუმცა, როგორც ჯგუფმა აღნიშნა, ისტორიის მიმართულებით დასაქმება მაინც ჭირს. ზოგადად, პროგრამის განმახორციელებლების თანახმად, მოსაგვარებელ პრობლემებს შორის სწორედ კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებლის გაზრდა უნდა დასახელდეს (იხ. სტანდარტი 3).

დარგის სპეციფიკის მიხედვით უნივერსიტეტში შემუშავებულია საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდებს. სწავლის შედეგების შეფასება წარმოებს უნივერსიტეტში დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების და განვითარების წესის“ შესაბამისად. პროგრამაში დეტალურად არის მოცემული სწავლის თითოეული შედეგის შეფასების ინსტრუქცია და სამიზნე ნიშნულები; შეფასების ფორმა (დასკვნითი გამოცდა, შუალედური შეფასება) და მეთოდები (დასკვნითი გამოცდის თეორიული საკითხები, პრეზენტაცია, საბაკალავრო ნაშრომის დაცვა- პრეზენტაცია); მტკიცებულება (დასკვნითი გამოცდის ნაწერი, პრეზენტაციის მასალები, კომისიის მიერ ნაშრომის შეფასების უწყისები (საბაკალვრო ნაშრომი) და საანგარიშო პერიოდები/სემესტრები.

სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის განხილვა მოხდა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ სპეციალისტებთან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს საგანმანათლებლო პროგრამის დონეზე მის ასახვაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის სწავლის შედეგების შედგენაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი
- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები: ამოღებული იქნას რუსული ენა საუნივერსიტეტო სავალდებულო ენების ბლოკიდან და გადატანილი იქნას არჩევითი საგნების ბლოკში
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) უცხო ენების სწავლების B-2 დონეზე აყვანა
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის უფლება აქვთ სრული ზოგადი განათლების მქონე პირებს. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად კოეფიციენტების რანჟირების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის გარეშე ჩარიცხვა შესაძლებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე. აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის“ შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე შეუძლიათ მეოთხე საგნად ჩააბარონ ისტორია ან ლიტერატურა. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია რეგულარულად თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე www.sangu.edu.ge. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • საგანმანათლებლო პროგრამა; • პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (კრიტერიუმები და პროცედურები); • ინფორმაციის საჯაროობა - პროგრამაზე დაშვების შესახებ ინფორმაციის გავრცელების მეთოდები; • ვებგვერდი • ინტერვიუს შედეგები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ

დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ისტორიის საბაკალავრო საგანამანათლებლო პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების თანმიმდევრულობა ლოგიკურად ებმის და შეესაბამება პროგრამით განსაზღვრულ მიზნებს, შედეგებს და სწავლების საფეხურს. თუმცა ვურჩევდით პროგრამის მესვეურებს, რათა საგნების საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობის და ახალი და უახლესი პერიოდის ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის წინაპირობად დაფიქსირდეს შესაბამისი ეპოქების საქართველოს იტრორიის კურსი. პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა 4 წელია. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად, ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მისაღებად სტუდენტმა უნდა დააგროვოს არანაკლებ

240 ECTS კრედიტი.
პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს საუნივერსიტეტო სავალდებული საგნებს (42 ECTS კრედიტი.); სპეციალობის სავალდებულო საგნებს (120 ECTS კრედიტი). ამ კომპონენტში მოიაზრება საბაკალავრო ნაშრომი (6 კრედიტი). გარდა ამისა, 18 კრედიტის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ გაიარონ სპეციალობის არჩევითი კურსები და გაიღრმავონ ცოდნა სპეციალობაში. დარჩენილი 60 კრედიტი სტუდენტებმა შეიძლება გამოიყენონ სპეციალობის სხვა არჩევითი კურსებისათვის, ან თავისუფალი არჩევითი კურსებისათვის, ან უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული დამატებითი (minor) სპეციალობისათვის.

საუნივერსიტეტო სავალდებულო საგნების ბლოკში შედის აკადემიური წერა და საოფისე ტექნოლოგიები; სახელმწიფოსა და სამართლის საფუძვლები; უცხო ენა (ინგლისური/რუსული/ფრანგული/გერმანული A1, A2, B1, B2 დონეზე), რომლებიც შესაბამება ზოგადი კომპენტეციების განვითარების სტრატეგიას, ასევე უნივერსიტეტის მისიას. აღსანიშნავია, რომ უცხო ენებში ადრე გათვალისწინებული 20 კრედიტის ნაცვლად, წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს უცხო ენების B-2 დონეზე ათვისებას. სტუდენტების მიერ ენების ცოდნის დაბალი დონით აიხსნებოდა წინა პროგრამაში უცხოური სამეცნიერო წყაროებისა და ლიტერატურის გაუთვალისწინებლობა. ახალი პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია რომ მოგვიანებით განხორციელდება სასწავლო კურსებში უცხოური წყაროების გათვალისწინება. ჩვენ ვეთანხმებით თვითშეფასების ჯგუფს იმაში, რომ თავდაპირველ ეტაპზე ძნელია უცხოური წყაროების აღქმა და გამოყენება, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ახალ პროგრამაში არსებული სილაბუსების უმრავლესობა საერთოდ არ ასახავს უცხოენოვან ლიტერატურას, რაც პროგრამის ნაკლია (რეკომენდაცია იხილე 2.3)

სპეციალობის სავალდებულო კურსების სეგმენტი მიზნად ისახავს სტუდენტებისთვის დარგობრივი, მაპროფილერებელი ცოდნითა და კომპეტენციებით აღჭურვას. სპეციალობის სავალდებულო კურსები ფარავენ საქართველოს ისტორიას უძველესი დროიდან დღემდე; რეგიონის და მსოფლიო ისტორიის ძირითად და საკვანძო ეტაპებს (ძველი აღმოსავლეთის, ანტიკური ქვეყნების, შუა საუკუნეების, დასავლეთ ევროპისა და აშშ-ს ახალი და უახლესი ისტორია, კავკასიის ხალხთა ისტორია); მომიჯნავე დისციპლინების შესახებ ზოგად კურსებს (ქართული ლიტერატურას ისტორია; ძველი ქართული საეკლესიო და საისტორიო მწერლობის ენა; საქართველოს არქეოლოგია; საქართველოს ეთნოლოგია; საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია; საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია; პალეოგრაფია, ეპიგრაფიკა; საქართველოს ახალი და უახლესი ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია)
სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები აღრმავებს სტუდენტების ცოდნას და კომპეტენციებს სხვადასხვა ისტორიული პრობლემების/საკითხების თუ ეპოქების გარშემო (ანალიტიკური აზროვნების შესავალი; ქართული კულტურის ისტორია; ქართველოლოგიის შესავალი; ბიზანტიის ისტორია; საქართველოს გეოგრაფია; საქართველოს ისტორიული დემოგრაფია; საქართველოს ისტორიული გეოგრაფია; ახლო აღმოსავლეთის ისტორია.

გარდა ამისა, უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს **თავისუფალ არჩევით** სასწავლო კურსებს, რომლებიც ასევე მრავალფეროვანი რეპერტუარისგან შედგება (საქართველოს საგარეო პოლიტიკა და დიპლომატია; დემოკრატია და მოქალაქეობა; რელიგიები საქართველოში; ონომასტიკის შესავალი; მსოფლიო ცივილიზაციის ისტორია; მთიელთა ჩამოსახლება საქართველოს ბარში; ქართული ემიგრაციის ისტორია (1921-1980 წწ.); სოციოლოგიის შესავალი; ხელნაწერთმცოდნეობა; ქართული ხელოვნების ისტორია;

ქართველი ერის ეთნიკური ისტორია; სომხეთის ისტორია; რუსეთის ისტორია; ქართული ზეპირსიტყვიერება; ოსმალეთის ისტორია; არქეოლოგიის შესავალი; ეთნოლოგიის/კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის შესავალი; საქართველოს შუა საუკუნეების ქალაქების არქეოლოგია და ურბანისტიკა).

აკრედიტაციის ექსპერტებთან საუბრის დროს უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა პროგრამის მთავარ დადებით მხარედ დაასახლეს სწორედ ის გარემოება, რომ მასში მრავლად არის არჩევითი კურსები წარმოდგენილი. არჩევითი კურსების ფართო რეპერტუარი, მათი აზრით, სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას გაიღრმავონ ცოდნა საქართველოს გეოგრაფიის, ქართული კულტურის ისტორიის, მსოფლიო ისტორიის, არქეოლოგიის და სხვა მიმართულებით.

დამამთავრებელ წელს (ან საჭიროებისამებრ დამატებით სემესტრში/ებში) სტუდენტები საბაკალავრო ნაშრომის ფარგლებში ამუშავებენ არჩეული საკითხის გარშემო არსებულ ბიბლიოგრაფიას, სწავლობენ ნაშრომში ლიტერატურის და გამოყენებული მასალების დამოწმების წესს და საბაკალავრო ნაშრომში მიღებული დასკვნების წარმოდგენას.

თვითშეფასების ანგარიშის და პროგრამის განმახორციელებლების თანახმად პროგრამის სტრუქტურისა და შინაარსის დახვეწაში ჩართული იყო აკადემიური, მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული პირები.

გარდა სასწავლო კომპონენტისა, პროგრამის ფარგლებში სტუდენტებისთვის განსაზღვრულია მეცნიერებათა და სამართლის სკოლის მიერ ორგანიზებულ აკადემიურ აქტივობებში (კონფერენციები, დისკუსიები და სხვა სახის ღონისძიებები) მონაწილეობა.

უნივერსიტეტში ჩარიცხულ სტუდენტს აქვს წვდომა მოქმედი საბაკალავრო პროგრამისა და მასში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესახებ ინფორმაციაზე.

აკრედიტაციის ექსპერტების მოსაზროებით, პროგრამაში გასაძლიერებელია პრაქტიკული კომპონენტი. კერძოდ, უფრო ცხდადად უნდა იყოს გამოკვეთილი თუ რა პრაქტიკულ უნარები უვითარდებათ სტუდენტებს სწავლის პროცესში. პრაქტიკული მეცადინეობა შეიძლება მოიცავდეს არქოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობას, საარქივო მასალებზე მუშაობს, სტაჟირებას მუზეუმებში და ა.შ. ზოგადად უნივერსიტეტმა თავის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტად სტუდენტთა-კურსდამთავრებულთა სტაჟირება/დასაქმება უნდა აქციოს და განავითაროს შესაბამისი სტრუქტურული ერთეული.

ექსპერტთა ჯგუფმა, ასევე სასურველად მიიჩნია პროგრამაში ცალკეული კურსების დამატება. პროგრამას აკლია ზოგად-თეორიული კურსი საისტორიო მეცნიერების შესახებ. ეს შეიძლება იყოს ისტორიის შესავალი კურსი, სადაც განხილული იქნება ისტორიული აზროვნების და საისტორიო მეცნიერების ძირითადი ეტაპები, სკოლები და მიმდინარეობები.

ასევე პროგრამას გაამდიდრებდა ზოგადი კურსი შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაზე. ეს განაკუთრებით აქტუალურია თანამედროვე საქართველოსა და შორეული აღმოსავლეთის გარკვეულ ქვეყნებს (მაგალითად, ჩინეთი, იაპონია) ურთიერთობის განვითარების ფონზე.

პირველ სემესტრში სტუდენტები შეისწავლიან საქართველოს არქეოლოგიას და საქართველოს ისტორიას მერვე საუკუნემდე, ხოლო მეორეში-ძველი აღმოსავლეთის ისტორიას. უფრო ლოგიკური იქნებოდა ეს უკანასკნელი, პირველ სემესტრში ისწავლებოდეს.

საგანს საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობა და ისტორიოგრაფია, არა აქვს წინაპირობა. ალბათ ლოგიკურია ამ კურსის წინაპირობად ჩაიდოს საქართველოს ისტორიის კურსი.

ამავე კურსში არ არის გამოყენებული ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომატია, არადა პირველივე ლექციაზე ისწავლება ასურული და ურარტული წყაროები

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლოპროგრამა
- სილაბუსები
- ვებგვერდი;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია პროგრამას დაემატოს ისტორიის შესავალი კურსი, სადაც განხილული იქნება ისტორიული აზროვნების და სასიტორიო მეცნიერების ძირითადი ეტაპები, სკოლები და მიმდინარეობები.
- ვურჩევდით პროგრამის მესვეურებს, რათა საგნების საქართველოს ძველი და შუა საუკუნეების ისტორიოგრაფია და წყაროთმცოდნეობის და ახალი და უახლესი პერიოდის ისტორიოგრაფიისა და წყაროთმცოდნეობის წინაპირობად დაფიქსირდეს შესაბამისი ეპოქების საქართველოს ისტორიის კურსი.
- პირველ სემესტრში სტუდენტები შეისწავლიან საქართველოს არქეოლოგიას და საქართველოს ისტორიას მერვე საუკუნემდე, ხოლო მეორეში-ძველი აღმოსავლეთის ისტორიას. უფრო ლოგიკური იქნებოდა ეს უკანასკნელი, პირველ სემესტრში ისწავლებოდეს
- წარმოდგენილ პროგრამაში შემცირდა სავალდებულო საგნის „ქართული ლიტერატურის ისტორია“ კრედიტები (10-დან 6-მდე), თუმცა არ გათვალისწინებულა წინა აკრედიტაციის დროს გამოთქმული რეკომენდაციის ის ნაწილი, რომელიც ეხებოდა ამ საგნის არჩევით ბლოკში გადატანას. ჩვენ ვეთანხმებით წინა ექსპერტთა ჯგუფს და ვურჩევდით პროგრამის ხელმძღვანელებს გადაეტანათ ზემოაღნიშნული საგანი არჩევით ბლოკში
- პროგრამის განხორციელებისას სასურველია გათვალისწინებული იყოს საერთაშორისო პრაქტიკა.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მაინორი სპეციალობის პროგრამის დანერგვა;
- უცხო ენებში ადრე გათვალისწინებული 20 კრედიტის ნაცვლად, წარმოდგენილი პროგრამა მიზნად ისახავს უცხო ენების B-2 დონეზე ათვისებას.
- ხელახალ აკრედიტაციაზე წარმოდგენილმა ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამამ თავდაპირველი აკრედიტაცია გაიარა 2013 წლის 26 ნოემბერს (#177). მიმდინარე პროგრამაში განხორციელებულია ცვლილებები, რომელიც ეყრდნობა ახალ რეალიებსა და ამავე დროს პირველი აკრედიტაციის დროს გამოთქმულ რეკომენდაციებსა და რჩევებს. უპირველეს ყოვლისა, შეიცვალა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა დამატებითი სპეციალობის და თავისუფალი კომპონენტების შეთავაზების კონტექსტში; შემცირდა ცალკეული სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობა რის ხარჯზეც გაიზარდ ასასწავლო კურსების რაოდენობა; წარმოდგენილ პროგრამაში აღარ არის მოდულები და ჩანაცვლებულია გაზრდილი რაოდენობის არჩევითი სასწავლო კურსებით.

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული კურსები, ძირითადად, შეესაბამება პროგრამის მიზნებს, შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს; ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას; საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდები (ლექცია, სემინარი და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს;
თითოეულ სასწავლო კურსში სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად არის შემუშავებული სათანადო შეფასების სისტემა, კერძოდ, გამოკითხვისა და შეფასების შესაბამისი მეთოდები და კრიტერიუმები. ამასთან თითოეული სწავლის შედეგის

მისაღწევად სილაბუსის ავტორებმა შეარჩიეს სწავლების შესაბამისი მეთოდები (გონებრივი იერიში, დისკუსია-დებატები, ჯგუფური მუშაობა, შემთხვევის ანალიზი, ახსნა-განმარტების მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი და ა.შ.)
ერთ-ერთი მთავარი კითხვა სილაბუსებში მითითებულ სავალდებულო ლიტერატურის შესახებ გაჩნდა. აკრედიტაციის ექსპერტების მოსაზრებით, საბაკალავრო დონეზე ძნელია სტუდენტებს წააკითხო ინგლისურენოვანი ტექტები, თუმცა კურსის ლექტორს აუცილებლად უნდა ჰქონდეს მომზადებული სასწავლო მასალა/რიდერი, რომელიც კონკრეტული დარგის და პრობლემატიკის გარშემო თანამედროვე ტენდენციებს ასახავს (ერთ-ერთ მოწვეულ პროფესორს აქვს ამგვარი რიდერი, რომელიც სხვა მასალასთან ერთად მიერ თარგმნილ ლიტერატურასაც მოიცავს). მოქმედ სილაბუსებში საკმაოდ მნიშვნელოვანი წილი უკავია „მოძველებულ“ ლიტერატურას, რაც გადახედვა/განახლებას საჭიროებს. ამასთან, კატეგორიულად უნდა გამოირიცხოს ონლაინ ენციკლოპედიების მასალების მითითება ლიტერატურის ჩამონათვალში.
არქეოლოგიის შესავალ კურსში არ არის ფუნდამენტური ხასიათის ლიტერატურა მითითებული. ძირითად ვებგვერდებია ჩამოთვლილი.
მაგალითის სახით:
საქართველოს ისტორიის კურსებში, როგორც წესი, მითითებულია საქართველოს ისტორიის ნარკვევების ძველი რედაქცია. ვფიქრობთ, რომ აუცილებლად უნდა ქართული ისტორიოგრაფიის თანამედროვე ტენდენციები. არსებობს თანამედროვე კვლევები, როგორც ქართველი ისე უცხოელი მკვლევარების ავტორობით. ქართველთა ეთნიკური ისტორია, რატომღაც მხოლოდ ერთ ქართველ ავტორს ეყრდნობა. არსებობს ეთნიკურობის და ნაციონალიზმის აღიარებული თეორეტიკოსების (ე. სმიტი, ე. გელნერი, ბ. ანდერსონი) ტექსტების თარგმანები. ასევე, მრავლად არის ქართველი ავტორების წიგნები თუ სტატიები.

ეთნოლოგია-ანთროპოლოგიის შესავალშიც აუცილებლად, გასათვალისწინებელია დარგის ფუძემდებლეური ტექსტები და თანამედროვე ქართველი ეთნოლოგების/ანთროპოლოგების ნაშრომები.
ეს კურსები მხოლოდ საილუსტრაციოდ მოვიყვანეთ და ზოგადად ეხება პროგრამის სხვა კურსებსაც. ვფიქრობთ, ლიტერატურის დაზუსტება და გამდიდრება უფრო მეტად გაზრდის კონკრეტული კურსების და ზოგადად პროგრამის მიზნების/შედეგების განხორციელების შანსებს.
გარდა ამისა, იყო შენიშნვები და მოსაზრებები ცალკეული კურსების სტრუქტურასა და თემატიკასთან დაკავშირებით:
-უნდა განახლდეს ახლო აღმოსავლეთის ისტორიის სილაბუსი, და დაზუსტდეს მისი სახელწოდება. ამ კურსში ირანზე მარტო ერთი ლექციაა, თურქეთს კი ბევრი ლექცია ეთმობა. გარდა ამისა, აზერბაიჯანის ისტორია არ აროს წარმოდგენილი. ზოგადად, ბუნდოვანია რა არის კურსის თემატიკის და შესაბამისად საკონტაქტო საათების ამგვარი განაწილების საფუძველი. ამასთან, ძირითადად, მეოცე საუკუნეზეა აქცენტი გაკეთებული. ისლამის წარმოშობის გარდა. კურსის წინაპირობად, ლოგიკურად, რეგიონის შუა საუკუნეების ისტორია არის გასათვალისწინებელი. გასაფართოვებელია ქრონოლოგიური ჩარჩოები. ლიტერატურაში ირანისა და ოსმალეთის ისტორიის შესასწავლად მითითებულია ვიკიპედია, რაც დაუშვებელია.
-სილაბუსების უმრავლესობაში არ არის წარმოდგენილი უცხოენოვანი ლიტერატურა;
- ემიგრაციის ისტორიაში არ არის გათვალისწინებული თამარ პაპავას, გივი გაბლიანის და გიორგი მამულიას საყურადღებო ნაშრომები;
-გადასამუშავებელია სილაბუსი ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში: საერთოდ არ არის გათვალისწინებული პირველწყაროებზე მუშაობა და არ არის გამოყენებული ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომატია, კურსის შინაარსში აკლია

პრეისტორიული პერიოდი, ნეოლითის ეპოქა და ა.შ. -კურსი ძველი ქართული საისტორიო და საეკლესიო ენა, პრაქტიკულად წარმოადგენს ქართული ენის გრამატიკას და აქაც ფიქსირდება ვიკიპედია ლიტერატურის ჩამონათვალში. -კურსი შუა საუკუნეების ქალაქები, სასურველია არა მარტო ქართული, არამედ ზოგადად ქალაქის ფენომენზე აქცენტირება მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში. -გადასამუშავებელია და სათაურია დასაკონკრეტებელი კურსისა ქართული ხელოვნების ისტორია. კურსის შინაარსში წარმოდგენილი ბევრი საკითხი საერთოდ არ უკავშირდება ქართული ხელოვნების ისტორიას. აჯობებს კურსს დაერქვას მსოფლიო ხელოვნების ისტორია და შესაბამისად გადაკეთდეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ▪ კურიკულუმის რუკა; ▪ საგანმანათლებლო პროგრამა; ▪ სილაბუსები; ▪ უსდ-ის მიერ ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ▪ ინტერვიუს შედეგები. ▪ თვითშეფასება
რეკომენდაციები: ▪ განახლდეს სილაბუსებში ლიტერატურა და გამოირიცხოს ონლაინ ენციკლოპედიების (მაგ. ვიკიპედია) მასალების მითითება ლიტერატურის ჩამონათვალში. არსებული სილაბუსების უმრავლესობა საერთოდ არ ასახავს უცხოენოვან ლიტერატურას, შესაბამისად მოხდეს თანამედროვე უცხოური სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის ასახვა. ▪ განახლდეს ახლო აღმოსავლეთის ისტორიის კურსი
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის ▪ პროგრამას სასურველია დაემატოს ზოგადი კურსი შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიაზე. ▪ გადამუშავდეს სილაბუსი ძველი აღმოსავლეთის ისტორიაში ▪ გადამუშავდეს და დაკონკრეტდეს სახელწოდება კურსისა ქართული ხელოვნების ისტორია. ▪ სასურველია განახლდეს კურსი ძველი ქართული საისტორიო და საეკლესიო ენა ▪ კურსში შუა საუკუნეების ქალაქები, სასურველია არა მარტო ქართული, არამედ ზოგადად ქალაქის ფენომენზე აქცენტირება მსოფლიო ცივილიზაციების კონტექსტში. ▪ კურსში ემიგრაციის ისტორია სასურველია გათვალისწინებული იყოს აღწერაში დასახელებული ავტორების ნაშრომები

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი თანმხდება იმაში, რომ ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას. თვითშეფასების ანგარიშისა და უნივერსიტეტის პერსონალთან ინტერვიების მიხედვით, უნივერსიტეტში და კონკრეტულად ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში, სემესტრის განმავლობაში, იმართება პროფესორ-მასწავლებელთა (მათ შორის სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით) და სტუდენტთა (მათ შორის სხვა უნივერსიტეტების სტუდენტთა მონაწილეობით) სამეცნიერო კონფერენციები, საჯარო ლექციები, შეხვედრები საზოგადო, პოლიტიკურ მოღვაწეებთან და კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლებთან. სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული ამ ღონისძიებებში. სკოლაში პერიოდულად გამოიცემა სამეცნიერო შრომების კრებული, რომელშიც სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დაბეჭდონ პუბლიკაციები. თუმცა, მსგავსი ტიპის ღონისძიებებით არ უნდა ამოიწურებოდეს უსდ-ს ძალისხმევა, რომელიც მიმართულია ზემოაღნიშნული უნარების განვითარებისკენ. კერძოდ, აუცილებელია სტუდენტების მონაწილეობა საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში თუ პროექტებში. ამ მხრივ ერაზმუსის საქმიანობა კარგ შესაძლებლობას იძლევა; უნივერსიტეტის აკადემიურმა

პერსონალმა სასურველია გააძლიეროს ზრუნვა სტუდენტების სამეცნიერო პროექტებში ჩართვაზე, რათა მათ უკვე საწყის ეტაპიდანვე შეხება ჰქონდეთ რეალურ კვლევით პროცესთან. ამაში იგულისხმება, მაგალითად, არქეოლიგიურ ექსპედიებში მონაწილეობა, არქივებში მუშაობა, კვლევითი პროექტების ფარგლებში ძირითადი მკვლევრების ასისტირება და ა.შ. რაც ასევ ძალიან მნშივნელოვანია და არაერთხელ აღინიშნა, სტუდენტების ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანალიზი წარმოდგენილი დოკუმენტაცია ვებგვერდი ინტერვიუები
რეკომენდაციები: სასწავლო პრაქტიკული კომპონენტის შემუშავება და დანერგვა (პრაქტიკა, საზაფხულო სკოლა, ექსპედიცია და ა.შ.)
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა სასურველია მეტად იზრუნოს სტუდენტების სამეცნიერო პროექტებში ჩართვაზე, რათა მათ უკვე საწყის ეტაპიდანვე შეხება ჰქონდეთ რეალურ კვლევით პროცესთან. ამაში იგულისხმება, მაგალითად, არქივებში მუშაობა, კვლევითი პროექტების ფარგლებში ძირითადი მკვლევრების ასისტირება და ა.შ. რაც ასევ ძალიან მნშივნელოვანია და არაერთხელ აღინიშნა, სტუდენტების ტრანსფერული უნარების განვითარებისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოიყენება სტანდარტული სწავლა-სწავლების მეთოდები, რომლებიც შეესაბამება უმაღლესი განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. აგრეთვე, გათვალისწინებულია სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. სწავლების პროცესში გამოიყენება სალექციო და სემინარული მუშაობის მეთოდი, ამასთან, თითოეულ კურსში გათვალისწინებულია სათანადო აქტივობები, კურსის მიზნის და სპეციფიკის შესაბამისად. მაგალითად, დისკუსია/დებატები; დემონსტრირების მეთოდი; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; ჯგუფური მუშაობა და სხვ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

სილაბუსები
თვითშეფასების ანგარიში
ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალისათვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები. სასწავლო კურსის დაწყებამდე სტუდენტები ეცნობიან შეფასების ფორმებს, კომპონენტებს და მეთოდებს. სასწავლო კურსის განმავლობაში სტუდენტები მუდმივად იღებენ უკუკავშირს და ინფორმაციას სწავლის შედეგებზე, აგრეთვე საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების შედეგების გაუმჯობესების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიის პროგრამა ფინანსდება უნივერსიტეტის მიერ. სწავლის შედეგების უზრუნველყოფის მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დააწესა სარეიტინგო ქულა (81 ქულა) რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტი ისტორიის პროგრამაზე უფასოდ ისწავლის. სხვა შემთხვევაში, მან უნდა გადაიხადოსსწავლის საფასური.
აგრეთვე, შეიქმნა საგამოცდო ცენტრი, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი ტექნიკით. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 3 დღის მანძილზე შეცვალოს საგამოცდო თარიღი და დრო.
სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ამასთან, შუალედური შეფასების ფორმისათვის, ასევე, თითოეული კომპონენტისათვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შეფასების კომპონენტში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი აღნიშნავს იმ მინიმალურ დადებით ქულას, რომლის მიღებაც აუცილებელია ამ კოპონენტის ჩაბარებულად ჩათვლისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამის კომპონენტში სტუდენტს ეწერება შეფასება - 0 ქულა და ეს კომპონენტის სტუდენტს არ ეთვლება ჩაბარებულად.
კომპონენტის ვერ ჩაბარების შემთხვევაში, სტუდენტს 20 ქულის სხვა კომპონენტებში

დაგროვებით მაინც შეუძლია დასკვნით გამოდაზე გასვლა, თუ ჩაუბარებელ კომპონენტს არ აქვს მითითებული, რომ იგი არის სავალდებულო. სავალდებულო კომპონენტის ჩაბარება არის აუცილებელი დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად
დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა და მასზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასების სახით მოპოვებული აქვს არანაკლებ 20 ქულა.
შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;
- (C) კარგი – 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

შეფასების სისტემა, ასევე, ითვალისწინებს ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებულ ქულათა რაოდენობა.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება სასწავლო კურსის საბოლოო შეფასებაში.
დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათალისწინებით საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფრომდება შეფასება F - 0 ქულა.
შუალედური გამოცდა ჩატარდება მე-8 ან მე-9 კალენდარულ კვირაში. შუალედური გამოცდის თარიღი სტუდენტს ეცნობება გამოცდამდე გონივრული ვადით ადრე, სტუდენტის პირადი გვერდის მეშვეობით;
პრეზენტაციები ჩატარდება პირველი შუალედური გამოცდის დასრულებიდან დასკვნით გამოცდამდე პერიოდში;
დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება მე-16-19 კალენდარული კვირების განმავლობაში; ამასთან, დამატებითი გამოცდა ჩატარდება დასკვნითი შეფასების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის შემდეგ.
შეფასების სისტემასთან დაკავშირებით გვაქვს შემდეგი რჩევები:

- ოსმალეთის ისტორიის სილაბუსში შუალედური შეფასების კრიტერიუმებია ტესტი 20 ერთქულიანი ოთხი სავარაუდო პასუხით და 2 ქულიანი 5 ღია კითხვა, ხოლო დასკვნითი გამოცდის 20 ერთქულიანი ოთხი სავარაუდო პასუხით და 2 ქულიანი 10 ღია კითხვა. სასურველია შეფასების სისტემაში იყოს წარმოდგენილი ესეის წერა და არა ტესტი;
- კურსში ქართული კულტურის ისტორია შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე შეფასება ხდება 1 თეორიული საკითხით და 20 დახურული ტიპის ტესტით, რაც სასურველია შეიცვალოს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამა

- სილაბუსები;
- უნივერსიტეტში და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლაში არსებული სტუდენტის ერთიანი შეფასების სისტემა;
- საუნივერსიტეტო ელექტორნული ბაზა - www.ums.sangu.edu.ge
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- ოსმალეთის ისტორიის სილაბუსში შუალედური შეფასების კრიტერიუმებში სასურველია შეფასების სისტემაში იყოს წარმოდგენილი ესეის წერა და არა ტესტი
- კურსში ქართული კულტურის ისტორია შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე შეფასება ხდება 1 თეორიული საკითხით და 20 დახურული ტიპის ტესტით, რაც სასურველია შეიცვალოს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ დააწესა სარეიტინგო ქულა (81 ქულა) რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტი ისტორიის პროგრამაზე უფასოდ ისწავლის. სხვა შემთხვევაში, მან უნდა გადაიხადოს სწავლის საფასური.
აგრეთვე, შეიქმნა საგამოცდო ცენტრი, რომელიც აღჭურვილია აუცილებელი ტექნიკით. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა 3 დღის მანძილზე შეცვალოს საგამოცდო თარიღი და დრო.
სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით, რომელიც მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით შეფასებას. ამასთან, შუალედური შეფასების ფორმისათვის, ასევე, თითოეული კომპონენტისათვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		მეტწილად შესაბამისობაშია		

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშის გაცნობითა და ინტერვიუებით დგინდება, რომ სტუდენტები იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროცესთან დაკავშირებით. განახლებული პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არჩევითი კურსების ფართო ჩამონათვალს. ამასთან, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სილაბუსებში არ არის გაწერილი საკონსულტაციო საათები და აღნიშული პუნქტი არ ფიქსირდება ლექტორების ხელშეკრულებებში. ინტერვიუებისას ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ პერსონალის დატვირთვაში გათვალისწინებულია საკონსულტაციო მომსახურება. ისტორიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ კონსულტაციებს ისინი

დროულად და სრულყოფილად იღებენ, ლექტორები მუდმივად გამოთქვამენ მზაობას დაეხმარონ მათ. მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, საკონსულტაციო საათები დაფიქსირდეს, როგორც სილაბუსებში, ისე პერსონალის ხელშეკრულებებში.

პროგრამის ფარგლებში უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს მემორანდუმები. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ მიეწოდებათ ინფორმაცია სტაჟირებებისა და აქტივობების შესახებ. ჰქონდათ შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღოთ ექსპედიციებში. ინტერვიუზე წარმოდგენილი იყვენენ ისეთი დამსაქმებებლები, როგორებიც არიან პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი, ეროვნული მუზეუმი. ისინი გამოთქვამენ მზაობას დაეხმარონ სტუდენტებს პრაქტიკული უნარების შეძენაში. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სამივე დამსაქმებელი ამავდროულად არის პროგრამაში მოწვეული პერსონალი. მიზანშეწონილი იქნებოდა პროგრამის განვითარებაში ჩართულები იყვნენ გარე დამსაქმებლებიც.

რაც შეეხება საერთაშორისო პროექტებს, უნივერსიტეტის ადმინისტრაციამაც და სტუდენტებმაც აღნიშნეს, რომ ამ პროგრამის ფარგლებში არ არის შესაძლებლობა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, რაც ნამდვილად გასაუმჯობესებელი მხარეა. ამასთან, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ იღებენ ინფორმაციას სხვადასხვა აქტივობებისა და პროექტების შესახებ. დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, მეტ-ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ექსპედიციებსა და გასვლით ღონისძიებებში მონაწილეობა. თუმცა, მიზანშეწონილია ამ მიმართულებით გააქტიურება.

საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს ის, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა თვითონ აირჩიონ გამოცდის თარიღი ელექტრონული სისტემის მეშვეობით. თავად სტუდენტებმაც დაგვიდასტურეს, რომ მათთვის ეს ძალიან კომფორტულია და შეუძლიათ გადაანაწილონ დრო გამოცდების მოსამზადებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ისტორიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ხელშეკრულებები პერსონალთან;
- სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა;
- ინტერვიუ სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციასთან.

რეკომენდაციები:

- გაცვლითი პროგრამების ამოქმედება და საერთაშორისო კუთხით პროგრამის გააქტიურება;
- გარე დამსაქმებელთა ბაზის შექმნა. (პროგრამაში მოწვეული ლექტორების სახით არსებული დამსაქმებლების გარდა, სხვა დამსაქმებლების მოძიება და აქტიური

თანამშრომლობა).
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის • საკონსულტაციო საათების დაფიქსირება სილაბუსებსა და პერსონალის ხელშეკრულებებში. • სტუდენტური თვითმმართველობის გააქტიურება საგანმანათლებლო კუთხით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): • სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა თავად აირჩიონ გამოცდის თარიღი ელექტრონული სისტემის დახმარებით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) განახლებული პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს არჩევითი საგნების ფართო სპექტრს
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ **მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		მეტწილად შესაბამისობაშია		

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას ხელმძღვანელობენ, ჩართულები არიან სწავლის პროცესში და მონიტორინგს უკეთებენ უნივერსიტეტის რექტორი, და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანი, პროგრამაში მონაწილეობს 35 აკადემიური პერსონალი, მათგან 7 (4 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი და 1 ასისტენტ პროფესორი) აფილირებულია უნივერსიტეტთან, ხოლო 28 მოწვეულია. აკადემიური და მოწვეული პერსონალი შესაბამისობაშია სტუდენტების კონტიგენტთან: აკადემიური პერსონალის და სტუდენტების რაოდენობრივი შესაბამისობა შეადგენს 35/96-ს; დაბალანსირებულია აკადემიური პერსონალის თანაფარდობა მოწვეულთან და შეადგენს 7/28-ს. წინა აკრედიტაციისას თანაფარდობა შეადგენდა 7/23-ს. ახალ პროგრამაში გაიზარდა მოწვეულთა რაოდენობა 28-მდე. ასევე ჩანაცვლებული იქნა 17 მოწვეული პედაგოგი. რამდენიმე კურსდამთავრებული (სადოქტორო პროგრამები: „საქართველოს ისტორია“, „არქეოლოგია“, „ეთნოლოგია“) ჩართულია პროგრამის განხორციელებაში. აკადემიური პერსონალის უმრავლესობას გააჩნია მრავალწლიანი პედაგოგიური და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გამოცდილება. მათი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან. კომპეტენცია დასტურდება მათი ბიოგრაფიებითა და ბოლო 5 წლის მანძილზე შესრულებული სამეცნიერო აქტივობებითა და პუბლიკაციებით (ადგილობრივი ჟურნალები-545, საერთაშორისო ჟურნალები-50, ადგილობრივი კონფერენციები-221, საერტაშორისო კონფერენციები-191). ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც ხელს უწყობენ პროგრამის განხორციელებას, მდგრადობასა და განვითარებას, შეადგენს 78-ს. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ პოზიციებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

პროგრამის თვითშეფასება
წარმოდგენილი დოკუმენტაცია
ინტერვიუები

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

უნივერსიტეტის კურსდამთავრებულების ჩართვა პროგრამის განხორციელებაში

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის

განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

უნივერსიტეტში მოქმედებს პერსონალის (როგორც ადმინისტრაციული, ასევე აკადემიური) შეფასების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მათი მუშაობის შეფასებას, ანალიზს და მონიტორინგს. ამგვარი სისტემა ხელს უწყობს პერსონალის მოტივაციის ზრდას და პროფესიულ განვითარებას. ამავე დროს, სუსტი მხარეების გამოვლენა და აღმოფხვრა ხელს უწყობს ზოგადად უნივერსიტეტის განვითარებას.

სისტემაში გათვალისწინებულია და განსაზღვრულია შეფასების პირობები, კრიტერიუმები და პროცედურები, შეფასებაზე უფლებამოსილები და სხვა ორგანიზაციული საკითხები.

მოწვეული პერსონალის შეფასება ხდება სემესტრულად, ხოლო აკადემიური პერსონალის- ყოველწლიურად. თვითშეფასების საფუძველზე ხორციელდება მისი ანალიზი და დგება სამოქმედო გეგმა ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. პერსონალს აფასებენ სტუდენტებიც. შევსებული კითხვარების ანალიზიც ხელს უწყობს პროფესურის მოტივაციას და პროფესიულ განვითარებას.

შეფასების ფორმები შეიმუშავა ადამიანური რესურსების და სამეცნიერო კვლევითი მუშაობის სამსახურებმა. მათ მიერ იქნა დამუშავებული შეფასებები. ნაკლის გამოვლენის შემთხვევაში გაიცემა რეკომენდაციები მისი აღმოფხვრის შესახებ (გაფრთხილება, ტრეინინგი, კონსულტაცია, სამსახურიდან დათხოვნა).

თანამშრომლების მუშაობის შეფასების ანალიზიდან გამომდინარე უნივერსიტეტი ხშირად მიმართავს წახალისების სხვადასხვა ფორმებს, მათ შორისაა: ფულადი პრემია, ფასიანი საჩუქარი, მადლობის გამოცხადება, მადლობის სიგელი და სხვ.

პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებას ხელს უწყობს სხვადასხვა სახის სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, ღონისძიებები, რისთვისაც გამოყოფილია გარკვეული თანხები ბიუჯეტიდან. დაფინანსების მოთხოვნის და დასაბუთების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია მსჯელობს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე და მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს და კანცლერს, რომლებიც ღებულობენ საბოლოო გადაწყვეტილებას. უნივერსიტეტი აფინანსებს აგრეთვე კონფერენციების მასალებისა და სამეცნიერო შრომების კრებულების გამოცემას, ასევე მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების ბეჭდვას. სამეცნიერო საბჭო რეცენზირების შემდეგ, იღებს რეკომენდაციებს აღნიშნულზე. განზრახულია უცხოელი ექსპერტების ჩართვა, რაც აამაღლებს მოტივაციას და ხელს შეუწყობს პერსონალის განვითარებას.

2018 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია საველე გასვლებისა და სამეცნიერო ექსპედიციების ხარჯები (2000 ლარი), აღსანიშნავია, რომ ამ ხარჯებს ათასი ლარით აღემატება სტუდენტების ექსკურსიების ხარჯები (3000 ლარი). მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს პროფესურის მივლინებების, საველე მუშაობის ხარჯები.

მით უმეტეს, რომ , უნივერსიტეტის კანცლერმა საუბრისას აღნიშნა, რომ მოთხოვნის შემთხვევაში, უნივერსიტეტს გააჩნია რეზერვები და ის უზრუნველყოფს გამოყოფილი თანხის მნიშვნელოვნად გაზრდას. აღსანიშნავია, რომ თვითშეფასების ამ ნაწილში, ძლიერ და გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრისას, თვითშეფასების ჯგუფმა გასაუმჯობესებელ მხარედ სწორედ აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა დააფიქსირა. ჩვენი პოზიცია ემთხვევა უნივერსიტეტის აზრს და მოვუწოდებთ აქტიურად იმუშაოს ამ მიმართულებით
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასება წარმოდგენილი დოკუმენტაცია ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია გაიზარდოს საველე გასვლების, ექსპედიციების და სამეცნიერო მივლინებების ხარჯები და განსაზღვრულ იქნას დამატებით აკადემიური და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების გზები და საშუალებები
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ვიზიტის ფარგლებში განხორციელდა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება და შესწავლა. უნივერსიტეტი შედგება 2 კორპუსისგან და დაგეგმილია მესამე კორპუსის მშენებლობა. კორპუსები კეთილმოწყობილია ლიფტებით და შეესაბამება სსსმ პირების მოთხოვნებს. აღჭურვილია თანამედროვე ხანძარსაწინააღმდეგო და სასიგნალო სისტემებით. საგამოცდო დარბაზი ემსახურება 179 სტუდენტს და აღჭურვილია ვიდეო და აღრიცხვის ელ.სისტემით. აუდიტორიები აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით, უმეტესობა თანამედროვე ტექნოლოგიებთაც (მაგ. პროექტორი-15, ეკრანი, აუდიო სისტემა, კომპუტერები-160, ჭკვიანი დაფები-6, მედია სერვერი-2 და სხვ., უცხო ენების აუდიტორიები კი აუდიო ფაილების გამშვები აპარატურით-3,). თვითშეფასებაში მოცემულია დეტალური სია. უნივერსიტეტში მოქმედებს ცენტრალური გათბობის სისტემა, თუმცა ცალკეული ოთახებია აღჭურვილი კონდიცირების სისტემით. ადმინისტრაცია უზრუნველყოფილია კომპუტერული აპარატურით რომელიც ჩართულია უსადენო ინტერნეტში, პრინტერებით, ასლგადამღები აპარატურით. უნივერსიტეტს აქვს მართვის ელექტრონული სისტემა. პროფესორ-მასწავლებლებს და ადმინისტრაციას თავის სამუშაო სივრცეში აქვს თავისუფალი წვდომა ზემოჩამოთვლილ რესურსებთან. დამატებით ისინი უზრუნველყოფილნი არიან საკანცელარიო ნივთებით. პროგრამაში ჩართული პერსონალი მოთხოვნისა და მისი დასაბუთების შემთხვევაში მიიღებს ლეპტოპსაც. სასწავლო კორპუსში განთავსებულია სპორტული დარბაზი და კეთილმოწყობილი სამზარეულო-კაფეტერია 144 პერსონაზე. ბიბლიოთეკა მდიდარია წიგნადი და პერიოდიკული ფონდებით. მასში განთავსებულია სილაბუსებში მითითებული აუცილებელი სამეცნიერო ლიტერატურა. ბიუჯეტში გათვალისწინებულია წიგნადი ფონდის შევსება და განაცხადის წარდგენის შემდეგ ხდება წიგნების საჭირო რაოდენობის ერთეულების შეძენა. წარმოდგენილია ელ.წიგნებიც. როგორც საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმის წევრი, უნივერსიტეტი გაწევრიანებულია ELFE-ს კონსორციუმში. შესაბამისად ბიბლიოთეკას წვდომა აქვს როგორც ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონულ რესურსებზე, ასევე მონაცემების ბაზებზე.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ემსახურება 2000-მდე სტუდენტს, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ რესურსების გამოყენებისა და მოხმარების წესები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, თვითშეფასება წარმოდგენილი დოკუმენტაცია ბიბლიოთეკის დათვალიერება ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველია ყველა აუდიტორიის აღჭურვა კონდიცირების სისტემით
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტს აქვს ცენტრალიზებული ბიუჯეტი, რომლის დაახლოებით მესამედს წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ საპატრიარქოსათვის გამოყოფილი თანხიდან ამ უკანასკნელის მიერ უნივერსიტეტის დაფინანსება. დაფინანსების მეორე წყაროა სტუდენტების სწავლის გადასახადი და მესამე, მცირე ნაწილი, სხვადასხვა ეკონომიკური აქტივობები. ჰუმანიტარული მეცნიერებისა და სამართლის სკოლა, რომელმაც წარმოადგინა განხილვადი პროგრამა, არის ამ ბიუჯეტის ნაწილი. შესაბამისად ეს პროგრამა ფინანსდება ცენტრალური ბიუჯეტიდან, სადაც მოცემულია პროგრამის ფინანსური მხარდაჭერის წყაროები. პროგრამა სრულ დოტაციაზეა, ვინაიდან სახელმწიფომ იკისრა სახელმწიფო უნივერსიტეტებში ისტორიის პროგრამის დაფინანსება. უნივერსიტეტის ხელმძღვანელების რწმენით, დოტაციის მოხსნის შემთხვევაში, პროგრამა შეინარჩუნებს მდგრადობას, ვინაიდან შეიმჩნევა აბიტურიენტთა ინტერესი. მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასებაში წარმოდგენილი სტატისტიკური ცხრილების მიხედვით პროგრამაზე სწავლის მსურველთა რაოდენობა მცირდება ბოლო 5 წლის განმავლობაში. მაგრამ კონკურსი მაინც მაღალია. ბოლო წელს მისაღების ადგილი იყო 20 და მსურველ პირთა რაოდენობა პირველი 3 არჩევანის მიხედვით 52. თუ სტუდენტის სწავლის საერთო შეფასება უტოლდება 81 ქულას, მაშინ ის არ იხდის სწავლის გადასახადს. თუ სტუდენტის შეფასება 81 ქულაზე ნაკლებია, მას მოეხსნება ეს შეღავათი და სრულად გადაიხდის სწავლის საფასურს. ამავე დროს, სასურველია გაიზარდოს საველე ექსპედიციების დაფინანსება და შეიქმნას ფონდი აკადემიური პერსონალის განვითარების ხელის შეწყობის თვალსაზრისით,
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის გაიზარდოს დაფინანსება საველე გასვლების, მივლინებების და ექსპედიციების და შეიქმნას ფონდი აკადემიური პერსონალის განვიტარების ხელშეწყობისატვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების პროცესი ხორციელდება სათანადო მეთოდოლოგიის დაცვით. პროგრამის განხორციელების შეფასების შედეგების გათვალისწინებით ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომი განვითარება. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფში უზრუნველყოფილი იყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. დაწესებულებამ წარმოადგინა სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა. ასევე, წარმოდგენილია დამსაქმებელთა კვლევის ანალიზი. გასაუბრებისას დამსაქმებლებმა დაადასტურეს პროგრამის განვითარებაში ჩართულობა. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა აღნიშნა, რომ ჩართულები იყვნენ პროგრამის განვითარებასა და სააკრედიტაციოდ მომზადებაში. თვითშეფასების ჯგუფთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ სტუდენტთა რეკომენდაციით მოხდა უცხო ენის კომპონენტის გაძლიერება პროგრამაში. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა აკადემიური მოსწრების ანალიზი პროგრამის მიხედვით. უსდ-ს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასებისა და განვითარების წესი. ხარისხის სამსახურმა აღნიშნა, რომ ისინი სისტემატურად ახორციელებენ აკადემიური მოსწრების მონიტორინგს და გამოვლენილი შედეგების მიხედვით ახდენენ რეაგირებას. შიდა ხარისხის სამსახური, პროგრამაში ჩართულ პერსონალთან ერთად, ზრუნავს თვითშეფასების ანგარიშზე მუშაობის დროს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოფხვრაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამა • წარმოდგენილი დოკუმენტაცია • ინტერვიუები
რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე ხარისხის შეფასების მექანიზმად უნივერსიტეტი იყენებს ავტორიზაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა და საბჭოს წევრების რეკომენდაციებსა და რჩევებს. დაწესებულებამ თვითშეფასების ანგარიშში წარმოადგინა პირველი აკრედიტაციის ექსპერტთა რეკმენდაციებიდან რომელი იქნა გათვალისწინებული. აღინიშნა ისიც, რომ თუ რომელიმე რეკომენდაცია არ იქნა გათვალიწინებული ეს მოხდა არგუმენტირებული მსჯელობის საფუძველზე. რეკომენდაციები, რომლებიც იქნა გათვალისწინებული და სტუდენტებმაც დაასახელეს არის არჩევითი სასწავლო კურსების გამრავალფეროვნება,უცხო ენის კომპონენტის გაძლიერება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აღნიშნა, რომ შედეგების შეფასების მექანიზმების შემუშავებისას მოხდა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებაც.

მტკიცებულებები/ინდიკატორები • ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამა • წარმოდგენილი დოკუმენტაცია • ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შემუშავებული აქვს ყველა საჭირო დოკუმენტაცია პროგრამის პერიოდული მონიტორინგისათვის. შემუშავებულია შედეგების შეფასების მექანიზმი და დადგენილია სამიზნე ნიშნულები. ინტერვიუებისას

აღინიშნა, რომ სემესტრის ბოლოს უსდ ახორციელებს სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვას. შემუშავბეულია პროგრამაში ჩართული პერსონალის გამოკითხვისა და მათი საქმიანობის შეფასების ფორმები. თვითშეფასების პროცესში უზრუნველყოფილი იყო ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა. აკრედიტაციაზე წარდგენამდე დაწესებულებამ პროგრამა გააცნო ოქსფორდის უნივერსიტეტის რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის ცენტრის მოწვეულ მკვლევარს. პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის კარგი იქნება, თუ მოხდება პროგრამის შედარება საერთაშორისო ანალოგებთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები • ისტორიის საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში • საგანმანათლებლო პროგრამა • წარმოდგენილი დოკუმენტაცია • ინტერვიუები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის პროგრამის შემდგომი განვითარებისათვის კარგი იქნება, თუ მოხდება პროგრამის შედარება საერთაშორისო ანალოგებთან.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ **შესაბამისობაშია მოთხოვნებთან** ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
ისტორია
დასკვნის გვერდების რაოდენობა: 46

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა		მეტწილად შესაბამისობაშია		
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა		მეტწილად შესაბამისობაშია		
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე:

ერეკლე ასტახიშვილი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

მალხაზ თორია

ანა გვრიტიშვილი